



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

სარჩელის წარმოებაში მიღების, დასაშვებად ცნობის, სასამართლო სხდომის დანიშვნის, მესამე პირების ჩაბმისა და მტკიცებულებების წარმოდგენის შესახებ

7 ნოემბერი, 2020 წელი

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე დიანა ფარქოსაძე

მოსარჩელე - საარჩევნო ბლოკი „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“

მოპასუხე - N5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისია

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

სასამართლომ განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საარჩევნო ბლოკი „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებლის“ წარმომადგენელმა სარჩელით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის N5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის მიმართ და მოითხოვა: ბათილად იქნეს ცნობილი შემაჯამებელი ოქმი 0266 და გამოიცეს ახალი აქტი.

სასამართლომ შეამოწმა სარჩელი თანდართული მასალებით და მიიჩნევს, რომ იგი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს და მიღებული უნდა იქნეს წარმოებაში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26² მუხლის შესაბამისად სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ამ კოდექსის 22-25-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს და ამ ეტაპზე დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად, ხოლო ამავე კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

ამავე კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სასამართლოს მოთხოვნით წარუდგინოს მას საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველი დავის არსებითად გადაწყვეტის მიზნით, მოპასუხე - N5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა დაევალოს წარმოადგინოს გასაჩივრებულ აქტთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების დამოწმებული ასლები სრულად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

მითითებული ნორმის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განჩინება პირის მესამე პირად საქმეში ჩაბმის შესახებ არ გასაჩივრდება. ამ მუხლის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ პირის მიერ, რომელიც ჩაბმულ იქნა საქმეში, ხოლო მე-5 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მესამე პირი სარგებლობს მოსარჩელის მოპასუხის ყველა უფლებით და მას ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა.

სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ სასარჩელო განცხადებასა და თანდართულ მასალებს და მიაჩნია, რომ აღნიშნულ ადმინისტრაციულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მესამე პირებად ჩაბმულნი უნდა იქნენ: N5 ისნის ოლქის შემადგენლობაში შემავალი №04.05.23 საუბნო საარჩევნო კომისია და მაჟორიტარების კანდიდატები: ჯუმბერ ბოლდაშვილი, დავით ჭიჭინაძე, ხატია დეკანოიძე, ბადრი მანიჟაშვილი, გიორგი ავაზაშვილი, კახა ნადირაძე, გოჩა შოშიაშვილი, ედუარდი ელოშვილი, გიორგი ვაშაძე, სოფიო დილებაშვილი, დავით ჩიგოგიძე, კახა კახიშვილი, ილია ხმალაძე, ნოე გოგიაშვილი, ალექსანდრე ჩარგეიშვილი, ლანა გალდავა.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-4, მე-19, მე-16 მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 445-446-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა:

1. საარჩევნო ბლოკი „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებლის“ სარჩელი, მოპასუხე - N5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის მიმართ, მიღებული იქნეს სასამართლოს წარმოებაში და დასაშვებად იქნეს ცნობილი;
2. ადმინისტრაციულ საქმეზე №3/7121-20 სასამართლოს მთავარი სხდომა დაინიშნოს 2020 წლის 8 ნოემბერს, 12:00 საათზე;
3. დაევალოს მოპასუხე - N5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისიას შესაგებლის და №0266 შემაჯამებელ ოქმთან დაკავშირებული, სრული ადმინისტრაციული წარმოების მასალების, მათ შორის საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლების სრულად წარმოდგენა. დავალების შესასრულებლად მოპასუხეს განესაზღვროს ვადა 2020 წლის 8 ნოემბრის 11:00 საათამდე;
4. №3/7121-20 ადმინისტრაციულ საქმეში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ:
 - N5 ისნის ოლქის შემადგენლობაში შემავალი №04.05.23 საუბნო საარჩევნო კომისია;
 - მაჟორიტარების კანდიდატები: ჯუმბერ ბოლლაშვილი, დავით ჭიჭინაძე, ხატია დეკანოიძე, ბადრი მანიჭაშვილი, გიორგი ავაზაშვილი, კახა ნადირაძე, გოჩა შოშიაშვილი, ედუარდი ელოშვილი, გიორგი ვაშაძე, სოფიო დიღებაშვილი, დავით ჩიგოგიძე, კახა კახიშვილი, ილია ხმალაძე, ნოე გოგიაშვილი, ალექსანდრე ჩარგეიშვილი, ლანა გალდავა;
5. წინამდებარე განჩინება საქმეში მესამე პირების ჩაბმის ნაწილში, შეიძლება გაასაჩივრონ მხოლოდ საქმეში ჩაბმულმა მესამე პირებმა საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად;
6. დანარჩენ ნაწილში განჩინება არ საჩივრდება.

მოსამართლე



დიანა ფარქოსაძე